# სახალხო გაზეთი

№ 233 ოთხშაბათი, 16 თებერვალი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 233

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხაზგლოვიარე განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ხამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.


ელისაბედი და ნინუცა ბილიხოძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 10 თებერვალს ქ. ტფილისში გარდაიცვალა პირველის—მეუღლე, ხოლო მეორის—მამა

## ანანია ბილიხოძე

დასაფლავება დაბა ლანჩხუთში, 17 თებერვალს, ადგილობრივ ეკლესიაში 12 საათზე. (1—458—1)


## ქ. თელავში

პარასკევს 18 თებერვალს ქალაქის საკრებულო დარბაზში გაიმართება

## სამასკარადო საღამო

ქართველთა შ. წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. თელავის განყოფილების სასარგებლოთ. (2—1079—1)

## 8 თებერვლიდგან გამოდის ახალი ორ კაპიკიანი გაზეთი „ხალხი“

ადრესი: დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

## ქართული თეატრი

საბენეფისო ვალ. შალიკაშვილისა

ხუთშაბათს, 17 თებერვალს,

ვალ. შალიკაშვილი, ქართ. დრამ. დასის მონაწილეობით, გამართავს საბენეფისო წარმოდგენას: წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა

I. **განწმენდის სასახლე,** დრამ. 3 მოქ., შოთა დადიანისა.

II. **დარისპანის გასაჭირი,** სცენა 1 მოქმედ., დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი საღ. 8 საათზე. (2—1076—2)

„სორაპანის“ ამხანაგობის გამოცემა.

**გიუი-დე-მოპასანი,** დაიბეჭდა და დაურიგდა აგენტებს—ტფილისის ხელის-მომწერლებს წიგნის მიღება შეუძლიანთ დღეიდან, პროვინციაში კი—15 ამ თვიდან. (3— —2)

## ტფილისის კერძო საავადმყოფო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Erlich-chata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—396)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა ჭიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სენაკსა და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა, სამტრედიისა, ყვირილისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

## ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ 1911 წლის განმავლობაში გამოსცემს იგი რამდენსამე **კრებულს მხატვრულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ შინაარსისას.** პირველ კრებულისთვის მასალა 15 თებერვლამდე მიიღება. კრებული სივრცით 300—500 გვერდამდე იქნება. საზოგადოების წევრთათვის და „სახალხო გაზეთის“ გამომცემელთან შეთანხმებით, ამ გაზეთის ხელის-მომწერთათვის ეღირება 50 კაპ.; სხვებისათვის კრებული ეღირება არა ნაკლებ 1 მანეთისა. კრებულის გამოცემისთაობაზე მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ მოსალაპარაკებლად სიტყვა-კაზმულ მწერლობის საბჭოს თავმჯდომარეს **გ. ს. რცხილაძეს** (იზმაილ. ქ. № 2. (0—14)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა უქმეებისა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გამყრელიძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს,

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. პოპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—559)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—85

**ექიმი მ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—315

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ცირალოვის სახლი, (50—15—26

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორდანოვის ქ.,N 20. (0—6.—47)

**ექიმი რ. დ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—86

**ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი**

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლის ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა გასხერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და სამაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზანება საგანგებო მესაზვევებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპროვეტები სისხლის გამოგზანისთვის გასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—1)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—41)


## ტფილისი, 16 თებერვალი

**კიდევ კავკასიის უნივერსიტეტის გამო.**

კვლავ გვინდა ჩამოვაგდოთ ლაპარაკი კავკასიის უნივერსიტეტზე.

ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ საბიუჯეტო კომისიაში დეპუტატმა შინგარიოვმა აღძრა საკითხი კავკასიაში უნივერსიტეტის გაღების შესახებ და სახალხო განათლების მინისტრმაც თავისი პრინციპიალური თანხმობა განაცხადა. მოვაგონებთ მკითხველებს იმასაც, რომ მაშინვე მინისტრმა დაუმატა, ინიციატივა სათანადო საკანონმდებლო წინადადების შეტანისა კავკასიის ნამესტნიკს უნდა ეკუთვნოდესო. ქალაქის საბჭომ მას შემდეგ დეპეშით მადლობა შეუთვალა დეპუტატს შინგარიოვს, და საქმეც ამით დაბოლოვდა.

ჩვენის აზრით კი დეპუტატ შინგარიოვის განცხადებას ყოველ-გვარი მნიშვნელობა დაეკარგება, თუ ფორმალური მხარე ამ საკითხისა არ დაიძლია. მინისტრი ბიუჯეტის განხილვის დროს თავის პრინციპიალურს თანხმობას განაცხადებს, მაგრამ მოხსენებელთა წინააღმდეგ მაინც წავა, თუ ნამესტნიკს იმ დროსთვის მინისტრთა საბჭოში არ ექნება შეტანილი სათანადო საკანონმდებლო წინადადება.

საკითხი კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ კვლავ შემდეგი დროისთვის გადაიდება, და ჩვენც ვინ იცის, როდის ვეღირსებით მის განხორციელებას. ეს რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა ქალაქის თვით-მმართველობა მარტო მადლობის გადახდით არ დაკმაყოფილდეს და ეხლავე აღძრას შუამდგომლობა ნამესტნიკის წინაშე, რომ მან სათანადო საკანონმდებლო წინადადების შეტანა დააჩქაროს. ამ საკითხის შორეულ დროისთვის გადადება შეუძლებელია. სახელმწიფო სათათბირო მალე შეუდგება ბიუჯეტის განხილვას, და იმ დროსთვის კი უკვე ყველაფერი უნდა დამზადებული იყოს.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.** მორიგ საკითხად კანონ-პროექტია, რომლითაც აპეკუნი უნდა ენიშნებოდეს ისეთ სოფლის მოსახლეს, რომელთაც ფანტიაობითა თუ ლოთობით გაღატაკება მოელით.

**სკორაპადსკი.** ასეთს აპეკას ვოლოსტის სასამართლო უნდა აწესებდეს.

**დერხე.** წინადადებას იძლევა პროექტის მუხლობრივ განხილვას შეუდგნენ.

**ჩერნოსვიტოვის** აზრით აპეკუნს სოფლის ყრილობა უნდა ჰნიშნავდეს.

**კუზნეცოვი.** ს.-დემოკრატები პროექტს მხარს არ დაუჭერთ. თუ საპეკუნო არის ვინმე, ესაა მთავრობა, რომელიც ასე დაუზოგველად ჰფანტავს ხალხის დოვლათს.

**ნოვიცკი** მეორე კომისიის რედაქციას ემხრობა.

**შიდლოვსკი.** ვოლოსტთა სასამართლოს სამართლიანობის თავდები ისაა, რომ მის დადგენილებას სამაზრო კრება ადასტურებს.

**გორკინს** სასარგებლოდ მიაჩნია ასეთ წესებს ქარხნის მუშებიც დაუქვემდებაროს, რომელთაც სახლში გროშიც არ შეაქვთო.

**გრომოტოვი.** ეს კანონ-პროექტი ახალს ბორკილს ადებს გლეხ-კაცობას და ყველა მათგანს ერობის უფროსის ხელში აგდებს. ამ სახით ღარიბ გლეხობას ეკონომიურად მდიდარ გლეხობას უმორჩილებს. ორატორის აზრით აპეკუნები თავად-აზნაურობას უფრო მოუხდებოდა.

ხმის უმეტესობით პროექტის მუხლობრივს განხილვაზე გადადიან. უკიდურესი მემარცხენენი წინააღმდეგნი არიან.

**თავმჯდომარე.** სმოლენსკის გუბერნიის წარმომადგენელი დეპუტატი ლიუტოვი გარდაიცვლილა, გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ.

ყველანი ფეხზე დგებიან.

**ბულატი.** წინადადებას იძლევა საპეკუნო წესები პოლონეთის სამეფოში სოლქო სასამართლოს საშუალებით სწარმოებდესო.

პირველ მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ.

მე-2 მუხლს მეიენდორფის შესწორებით ღებულობენ: საპეკუნო პირის საქმე იმ ვოლოსტის სასამართლომ უნდა განიხილოს, სადაც იგი მუდმივი ბინადარია.

მე-3 მუხლი განმარტავს, რომ საპეკუნო საქმეზე გალოთებულის ნათესავნი აღძრავენ შუამდგომლობას. გლეხთა არჩეული თანამდებობის კაცნი სასოფლო ყრილობას მოახსენებენ და ყრილობა მიიღებს უწყებულ დადგენილებას.

ამ მუხლსა და დანარჩენ მუხლებსაც რედაქციის კომისიით ღებულობენ.

ყველა შესწორებანი უარჰყვეს.

სასოფლო-სამმართველოს კანონ-პროექტის განხილვას იწყებენ.

მინისტრთა ლოჟაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

**კაპუსტინი თავმჯდომარეობს.**

**მომხსენებელი გლებოვი** მეორე აღნიშნავს, რომ ეს კანონ-პროექტი ფრიად მნიშვნელოვანია, როგორც მომავალ საერობო რეფორმის საძირკველი. განზრახული სასოფლო თვითმმართველობა სამაზრო ერობის დამხმარე დაწესებულება იქნება. იგი სწორე კალაპოტში იდენს, თუ წვრილ თვითმართველობის იარეიკას შევქმნით, რომელიც თავისს კანონიერ მოღვაწეობაში ადმინისტრატიულ მზრუნველობას აცილებული იქნება და მთავრობის სამმართველო კანონიერს კანტროლ ქვეშ იარსებებს. სავოლოსტო ერობა მხოლოდ საერობო გუბერნიებში მოეწყობა. საარჩევნო უფლება ექნება ყველა უძრავ ქონების პატრონს, ვინც სავოლოსტო ერობის ხარჯს შეუზღუდველად გარდაიხდით; საარჩევნო უფლება ქალებსაც მიენიჭებათ, სამაზრო ერობის კრება სავოლოსტო ტერიტორიას განსაზღვრავს; სავოლოსტო ერობის უფლებანი სამაზროს გაუთანასწორდება; აღმასრულებელი ორგანო კოლეგიური იქნება; კანონიერ მეთვალყურეობას ყოველმხრივ სამაზრო კრებათა სამმართველო გასწევს; ამასთანავე ერობის უფროსს გადამწყვეტი უფლება არ ენიჭება, იგი მხოლოდ განსახილველ მასალას წარუდგენს; სამმართველოს ყოველი დადგენილება შეიძლება საგუბერნიო სამმართველოში განსაჩივრდეს, რომელსაც გადამწყვეტი უფლება მიენიჭება.

ორატორის აზრით, ეს ახალი დაწესებულება ადგილობრივ ცხოვრების ყველა ნაკლს ვერ შეავსებს; ამისათვის რეფორმათა მთელი წყება საჭირო. ახალ დაწესებულების მოქმედებას ასპარეზი უნდა მიეცეს, რისთვისაც საჭიროა სახსარი. რადგანაც უძრავი ქონება საერო გარდასახადებით მეტად დატვირთულია, ამისათვის დიდი და თვალსაჩინო ნივთიერი დახმარება უნდა გაუწიოს ამ დაწესებულებას ხაზინამ. თუ დღეს სოფლად ბრბო არის, როდესაც მოსახლეობას აქტიურ მოქმედებაში ჩავაბამთ, იგი საერო ელემენტად იქცევა, შექმნის ხალხს რომელიც კულტურის მატარებელი და გამტარებელი იქნება, ურომლისოდაც უფლება მოსილ სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. (ცენტრი ტაშს უკრავს).

**შინგარევი** მთელ საათს ლაპარაკობს: იქნება კარგს რასმეს მოაწავებდეს, რომ გლეხთა განთავისუფლების 50 წლის თავზე, სათათბირო თანამედროვე კანონმდებლობის ერთს უდიდეს რეფორმის განხორციელებას შეუდგა. 19 თებერვალი მთელ წყება რეფორმათა დედაბოძი იყო, ურომლისოდაც კულტურული სახელმწიფო ვერ იარსებებდა,

მაგრამ დიდებულ რეფორმათა ხანა ვერ დამთავრდა, ხოლო ხალხის კულტურულ-სამეურნეო მოღვაწეობის კიბე დაუსრულებელი დარჩა. **1904 წ. 12** დეკემბრის უმაღლესის ბრძანებით, ყველა ადგილობრივი მკვიდრნი საერობო მოღვაწეობის ასპარეზზე მიიწვიეს. ამ უმაღლეს ბრძანების მიხედვით შემუშავდა ის კანონ-პროექტი, რომელიც მეორე სათათბიროში განსახილველად წარადგინეს. მაგრამ მეორე სათათბირო მის განხილვას ველარ მოესწრო. მხოლოდ მესამე სათათბიროს ორის წლის არსებობის შემდეგ წარუდგინეს მას ეს პროექტი, უფრო კუდ-შეკვეცილი და გაუარესებული. ეხლა ორი პროექტი გვაქვს: მთავრობისა და კომისიისა. ორატორის აზრით კომისიის პროექტი იდეალურია. თუმცა კომისიას ბოლომდე არ მიუყვანია დემოკრატიზაციის იდეა. უმთავრესი ნაკლი ამ პროექტებისა ისაა, რომ იგინი ცენზზე ემყარება, რაც ადგილობრივს სარგებლობასა და საჭიროებას ეწინააღმდეგება, ხოლო ოთხ საარჩევნო კურიის დაარსება კი მთლად დაჰღუპავს ერობის საქმეს, ვინაიდან სოფლის მეურნეთ დაანაწილებს. სავოლოსტო ერობის უვარგისობა ყველასაგან აღიარებულია და იგი მალე გაუქმდება კიდეც. ორატორი იხსენიებს პეტერბურგში მომხდარ თავად-აზნაურობის ორგანიზაციის გაერთიანებულ კრებას და აცხადებს: ნუ გეშინიანთ რუსის ხალხისა, მხარს ნუ უვლით მას, რადგანაც თავად-აზნაურობის ხსნა მხოლოდ ხალხის კავშირშია, მასთან საერთო მუშაობაში. გლეხთა განთავისუფლების დღესასწაულის დროს, შეეცადეთ ისტორიულ შეცდომათა გასწორებას, ამოაძრეთ ის ეკალი, რომელიც ასე აიარებს ერის სიცოცხლეს.

ნუ დაუბრუნდებით ბატონ-ყმობის ხანას, თქვენი მისწრაფებანი მკვიდრს საძირკველზე დაამყარეთ—ეს საძირკველი რუსეთის ერი და გლეხ-კაცობაა (მარცხნივ ტაშის ცემა).

**გუჩკოვი თავმჯდომარეობს.**

შრომის ჯგუფის შეკითხვას ამელავენებენ, „სტოლიჩნია ოტკლიკის" ნომრის აკრძალვის თაობაზე. დაბეჭდილ ლექსის ნომერი აუკრძალიათ „ცხრა წლის წინედ" გამო, რომელიც ცენზურის წინასწარ ნებართვით ყოფილა დაბეჭდილი პროვინციულ გაზეთში.

**ბულატს** შეკითხვა სწრაფ განსახილველად მიაჩნია... გაზეთები დიდად ზარალობენ, ამისი მიზეზი ან გაუგებრობაა, ან საცენზურო კომიტეტის მოხელეთა დასაგმობი დაუდევრობა. შრომის ჯგუფი თხოულობს, რომ ეს შეკითხვა დაუყოვნებლივ განვიხილოთ.

**კუზნეცოვი.** უკე თუ სათათბირო სწრაფ-განსახილველად არ ჩასთვლის ამ შეკითხვას, ამითი დაადასტურებს რომ იგი სიტყვათა და ბეჭვდის თავისუფლების წინააღმდეგია.

შეკითხვა სწრაფ-განსახილველად არა სცნეს.

**გოლოლობოვი** განცხადებას კითხულობენ პიროვნების ხელ-შეუხებლობაზე.

**თავმჯდომარე.** ამ შეკითხვის კომისია შემდეგს დასკვნას დასდგომია: კომისია ყოველ ღონეს იხმარს, რომ მინდობილი საქმე დაამზადოს საერთო კრებისა და განხილვის დრომდე.

კომისიის წინადადებას ღებულობენ.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

# სტუდენტების მოძრაობა

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ხარკოვი.** საზეითლო ინსტიტუტის საბჭომ გააფრთხილა სტუდენტები, ვინც ლექციებზე არ ივლის ინსტიტუტიდან იქნება დათხოვნილიო.

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტში უფრო მეტი სტუდენტები არიან, ვიდრე თორმეტს თებერვალს იყვნენ; ლექციებიც მეტი შესდგა. ორს საათზე უმთავრეს კარიდორში ქიმიური ობსტრუქცია მოახდინეს.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრომ მიიღო თხოვნები სამსახურიდან გადადგომის შესახებ მოსკოვის პროფესორებისა: ვერნადსკისა, ჩაპლიგინისა, რეინისა, პეტრუშევსკისა, ზელინსკისა, ლებედევისა, ხვასტოვისა, ზერშენევიჩისა, სერბსკისა, ალექსინსკისა, ეიხენვალდისა.

სახალხო განათლების სამინისტრომ მოძრაობაში მონაწილეობისთვის დაითხოვა: პეტერბურგის უნივერსიტეტიდან **67** სტუდენტი, მოსკოვის—**75**, ხარკოვის — **14**, ოდესის—**66**, კიევის—**40**, ვარშავის—**28**.

მოსკოვის უნივერსიტეტში კიდევ რამდენიმე პროფესორმა და პრივატ-დოცენტმა დაანება თავი სამსახურს. სულ დღემდის **103** პროფ. და პრივატ-დოცენტმა შეიტანა თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

---

თერთმეტ თებერვალს მოჰხდა მოსკოვის პროფესორთა საბჭოს სხდომა, რომელსაც მზრუნველიც დაესწრო. მზრუნველს საჭიროდ მიაჩნია, რომ პროფესორებმა დარიგებით მიჰმართონ სტუდენტებს და ურჩიონ სწავლის განახლება. პროფესორთა საბჭო წინააღმდეგი არა ყოფილა ამ გვარ ზომისა, მაგრამ ეხლავე ამ გვარ წინადადებით მიმართვა უნაყოფოდ მიუჩნევია.

---

მოსკოვის სავაჭრო საზოგადოების ერთს ჯგუფს გადაუწყვეტია რითიმე აღნიშნოს მოსკოვის უნივერსიტეტში მომხდარი ამბები. ზოგი იმის მომხრე იყო, რომ თანაგრძნობა გამოეცხადებინათ პროფესორებისთვის, ზოგი კი ამტკიცებდა, ჩვენი თანაგრძნობით უნივერსიტეტში წესიერება ვერ დამკვიდრდება, სჯობიან მთავრობას მივმართოთ და ვსთხოვოთ რამე იღონოს, რომ უნივერსიტეტში, სადაც ჩვენი შვილებიცა სწავლობენ, წესიერება დამკვიდრდესო.

---

მოსკოვის უნივერსიტეტი დაცარიელდა. ლექციებზე კვლავ ხუთიოდ-ექვსიოდე სტუდენტი დაიარება.

ათს თებერვალს სულ ოთხი ლექცია შესდგა.

---

„რუსკ. სლ"-ს ოდესიდან ატყობინებენ, იურიდიულისა და ფილოლოგიურ ფაკულტეტის შენობის ვესტიბიულში ზემოთ სართულიდან ჩამოაგდეს შუშა რაღაც სითხით, რომელმაც საშინელი მყრალი სუნი დააყენა. ეჭვით დაატუსაღეს 8 კაცი.

---

იურიევში ქიმიური ობსტრუქცია მოახდინეს; მიუხედავად ამისა ბევრი ლექცია მაინც შესდგა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარედ.**

14-15 თებერვალი

**პარიზი.** ბრიანი თავის განცხადებაში სამსახურიდან გადადგომის შესახებ ამბობს, ჩემი წინადადება გაუგებარი დარჩაო. სისტემატიური უნდობლობა ჩემდამი შეუძლებლობა-და ხის მუშაობას კაბინეტისას, რომელიც რესპუბლიკანურს პარტიას ემყარება. დაუსრულებელი ინტრიგები მაიძულებენ სამინისტრო გადავცე სხვას, რომელიც რესპუბლიკანელებს შეათანხმებს და ჩემს მიერ დაწყებულ საქმეს გააგრძელებსო.

**პარიზი.** გენერალი ბრენი დაასაფლავეს. დასაფლავებას პრეზიდენტი ფალიერი დაესწრო.

**ბერლინი.** „ნორდ.-დ.-ალ.-ც." უარჰყოფს ცნობას, ვითომც პოზნანის ობერ-პროკურორი სამსახურს თავს ანებებდეს.

**პარიზი.** რადიკალ-სოციალისტთა ჯგუფის ინიციატივით დღეს უნდა შეიკრიფოს პალატის მემარცხენე ჯგუფთა ბიურო. ამბობენ, რადიკალთა ჯგუფის ზოგიერთი წევრები იმ აზრისა არიან, რომ უნდა შესდგეს ისეთი კაბინეტი, რომლის მეთაურადაც რადიკალურ პარტიის წევრი იქნებაო. დღეს ფალიერი პალატის პრეზიდენტთან შეთანხმდება. ბრიანის აზრით ახალი პრემიერი იმ წრეს უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც არაფერი საერთო არა ჰქონდა უკანასკნელ დღეებში პარლამენტში მომხდარ ინციდენტთან. არაფერი საერთო არა ჰქონდით,—ასეთი კი სენატორებში მოიძებნება.

**რ უ ს ე თ ი**

**ტულა.** ილიოდორმა ტულაში ერთი დღე დაჰყო. საარქიელო წირვაში მონაწილეობა მიიღო და მერე ნოვოსილსკის მონასტერში გაემგზავრა.

**პეტერბურგი.** რადგანაც მოსკოვის ყოფილმა პროფესორმა მანუილოვმა საარჩევნო ცენზი დაჰკარგა, სახელმწიფო საბჭომ იგი თავის წევრთა სიიდან გამორიცხა.

**მოსკოვი.** აღმოუჩენიათ, რომ მოსკოვის საუნივერსიტეტო სტამბაში ოცდა ათი ათასი მანათი გაუფლანგავთ.

**სოხუმი.** სოხუმის მახლობლად თოვლმა ორი სახლი დაანგრია. მსხვერპლი არ არის.

**ჟ ა მ ი**

**ხარბინი.** 13 თებერვალს იყო: ობსერვაციაში **668** ჩინელი, 5 ევროპიელი, განცალკევებულია **15** ჩინელი, **2** ევროპიელი, საავადმყოფოში **10**. მოკვდა: განცალკევებულთაგან—მოწყალების და სნეკოვა, საავად-მყოფოში **2**. იპოვეს სამი მკვდარი. სულ დღე-ღამის განმავლობაში მოკვდა **5** ჩინელი, სამი ევროპიელი. **14** თებერვალს მოკვდა ფელდშერი ბროქუნსი და ჩინელი-სანიტარი. ახლად მოსულ სტუდენტ-ექიმს შავი ჭირის ნიშნები აღმოაჩნდა. მამონტოვთან ერთად მოსული ამხანაგები განაცალკევეს.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისის ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრად **ბათომის ქალაქის მოურავი გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული აირჩიეს**. ამ არჩევნების დამტკიცება ამ ჟამად შეფერხებულია, რადგან გუბერნატორის აზრით ბ-ნს ჟურულს არ წარუდგენია საჭირო ცენზი. ბ-ნს ჟურულს წარდგენილი აქვს მოწმობა იმისა, რომ ის თავის მეუღლის დედინაცვლის მამულის მოურავია. გუბერნატორის აზრით კი ასეთი ცენზი კანონიერად მაშინ ითვლება, როდესაც მამული მეუღლის დედინაცვლის კი არა, ნამდვილს დედას ეკუთვნის. ამის გამო არჩევნების ახლად მოხდენას ორის კვირის შემდეგ ჰფიქრობენ და ამ ხნის განმავლობაში გ. დ. ჟურულმა უნდა წარადგინოს სხვა ცენზი. როგორც ჩვენ გუშინ გადმოგვცეს, შესაძლებელია არჩევნები აღარ მოჰხდეს და ბ-ნი ჟურული გამგეობის წევრად დამტკიცებულ იქმნეს გუბერნატორთან სხვა ცენზის წარდგენის უმალ.

✦ **მოგვყავს ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა—ტრამვაის დირექტორის თანაშემწის გისის მოკვლის შესახებ**: ლეონ გუსტავის ძეს გისს თავისთან მცველი არასოდეს არ დაჰყავდა ხოლმე. 12 თებერვალს, საღამოს 7 ნახევ. საათზე, თავის სახლიდან ჩვეულებრივ სასეირნოდ გამოვიდა მეუღლით. როდესაც განსვენებული მიხეილის ქუჩით მუშტაიდის შესავალთან მივიდა, უცებ ორი უცნობი გამოჩნდა და რევოლვერი სამჯერ ზედი-ზედ დაახალა. გისსი იქვე მკვდარი დაეცა, ყველა ტყვია გულში მოჰხვდა. მკვლელნი გაიქცენ: ერთი მუშტაიდის შესახვევისკენ, მეორე შიგ მუშტაიდში. რევოლვერის ხმაზე მუშტაიდიდან პოლიციელი მოვარდა და დაედევნა მკვლელს, მაგრამ ამაოდ. პირველი ტყვია ვერ მოარტყა, ხოლო შემდეგ რევოლვერი აღარ გავარდა. ჩქარა პოლიციამ და ჯარმა მუშტაიდს ალყა შემოარტყა, მაგრამ ვერავინ შეიპყრო. მოკლული გისსი ბელგიის ქვეშევრდომი იყო, 35 წლის [illegible] შარშან შეირთო. ტფ. [illegible] დირექციაში 13 წელიწადს მსახურებდა. ჰფიქრობენ, მისი მოკვლა პირადი შურისძიების ნაყოფია. მოკვლის დღეს ჟანდარმებმა გისს აცნობეს, შენი მოკვლა უნდათ და გაფრთხილდიო, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. განსვენებული ხშირად უსახელო მუქარის წერილებსაც იღებდა, მაგრამ არც ამას აქცევდა ყურადღებას.

✦ დღეს, 16 თებერვალს, **ნამესტნიკის საბჭოს სხდომა ექმნება**. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს სოხუმის ქალაქის მოურავად ნამყოფ თავ. ნიკოლოზ ყარამანის ძის თავდგირიძის საქმეს. თავ. თავდგირიძეს სამსახურის დროს ბოროტმოქმედებათა ჩადენას სწამებენ.

✦ **სემირეჩიის მხარეში დაზარალებულთა** სასარგებლოდ ტფ. კომიტეტმა დღემდე **14,209** მან. **84** კაპ. მეჰკრიბა.

✦ როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მოკლე ხანში **ტფილისში წყალდიდობაა მოსალოდნელი**. შესაფერ ზომების შესამუშავებლად **13** თებერვალს ნამესტნიკის მეუღლის თავმჯდომარეობით წყალთაგან გადამრჩენ საზოგადოების წევრთა კრება მოჰხდა. კრებამ დაადგინა რიყეზე იქონიოს მზად ოთხი ნავი, ხოლო ორთაჭალაში—2. ამას გარდა დაადგინა, გადასდოს **1,400** მან. წყალთა ინსპექტორის მ. ი. სვეშნიკოვის განკარგულებაში წყალდიდობის დროს საჭირო ზომების მისაღებად.

✦ 18 თებერვალს, ტფ. სასამართლო პალატის სადგომში მცირეწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენთა **საზოგადოების** კრება მოჰხდება.

✦ **სასულიერო სემინარიაში** 19 თებერვალს გარდახდილ იქმნება პარაკლისი და შემდეგ წაკითხულ იქმნება რეფერატი გლეხთა განთავისუფლების შესახებ 19 **თებერვლის დღესასწაულის აღსანიშნავად**.

✦ ტფ. ქალაქის თვითმმართველობას, სხვათა შორის, აქვს განსვენებულ მელვინოვის მიერ დატოვებული თანხა, რომლის სარგებლითაც ღარიბ ხელოსანთა **გასათხოვარ ქალებს ყოველ წლივ ას-ასი მანეთი ეძლევათ მზითვად**. დატოვებულ თანხის სარგებელი წელს **577** მანეთია. დღემდე 32

# სახაზინო გლეხთა სახნავ მიწების რაოდენობა

გლეხ-კაცობის მთელ მიწად-მფლობელობაში შედის სახნავ-სათესი მიწა-ადგილი, სასახლკარე, საბოსტნე-საბაღჩო, საძოვარ-საბალახო, ტყე და სხვა. მაგრამ ჩვენში, სადაც სოფლის მეურნეობა პირველ-ყოფილ მდგომარეობაშია, საეზოვე, საბოსტნე, საბაღო-საძოვარსა და სხვა მიწა-ადგილებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს; თითქმის არავითარ ეკონომიურ ძალას ისინი არა წარმოადგენენ.

ყველა ამ მიწა-ადგილებს ჩვენში მხოლოდ მაშინ ექნება სათანადო მნიშვნელობა, როდესაც ჩვენი მწარმოებელი ძალები ინტენსიურ სოფლის კულტურას განავითარებენ. ამიტომ, როდესაც გლეხების ეკონომიურ ცხოვრებას ვიკვლევთ და გლეხ-კაცობის მიწად-მფლობელობას ავღნუსხავთ, განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ იმ მიწა-ადგილებს, რომელთაც გლეხ-კაცობის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომელზედაც გლეხთა კეთილ-ყოფა მთლიანადაა დამყარებული. ასეთ მიწა-ადგილებად საქართველოში სახნავ-სათესი მიწები უნდა ჩაითვალოს.

ამ წერილში ჩვენ სახაზინო გლეხებს ვეხებით. საქართველოში, გლეხ-კაცობა ჩვეულებრივად რამდენიმე კატეგორიებადაა დანაწილებული, თუმცა ფორმალურ-იურიდიულს და სინამდვილის თვალსაზრისით უმთავრესად ჩვენი გლეხ-კაცობა ორ კატეგორიადაა დაყოფილი: **პირველი** კატეგორიაა სახაზინო გლეხები, ხოლო მეორე—ხიზნები. მაგრამ მკვლევარნი ჩვეულებრივად ასეთს კატეგორიას არ მისდევენ. რაც ბატონ-ყმობა მოისპო, სახელმწიფო გლეხების ეკონომიური და სოციალური მდგომარეობანი ძალზე შეიცვალა და აქედან წარმოიშვა—სახელმწიფო გლეხებიდან—კიდევ ერთი ახალი კატეგორია, რომელიც ძველ ბატონების ულელ-ქვეშ კვლავ დარჩნენ. მართალია, ფორმალურ იურიდიულ თვალსაზრისით — როგორც ამას თვით ბ. კუჩაევიც აღიარებს —სახელმწიფო გლეხების კიდევ თავის მხრივ დანაწილება უსაფუძვლოა, მაგრამ სინამდვილე იმდენად ძლიერი გამოდგა და მდგომარეობა —იმდენადვე რთული, რომ სახელმწიფო გლეხების ერთ ნაწილს სამართლიანად დაეწერა ახალ ძალთა განწყობილების ჭეშმარიტად გამომხატველი ახალი სახელწოდება: **დროებით ვალდებულნი**. ამნაირად, ჩვენში ამ ჟამად გლეხ-კაცობა უმთავრესად სამ კატეგორიად ნაწილდება: ა) სახაზინო გლეხები, ბ) დროებით ვალდებული და გ) ხიზნები. ამ წერილში პირველ კატეგორიის გლეხებს ვეხებით და მის სახნავ-სათეს მიწის რაოდენობის გარკვევას მოვანდომებთ ჩვენს ყურადღებას.

ავიღოთ აღმოსავლეთი საქართველო,—ტფილისის გუბერნია.

ოფიციალურ ცნობით: *) ტფილისის გუბერნიაში სულ **941** სოფელია, რომელიც ხაზინის „ნადელით" (ამ რუსულ ტერმინს ვხმარობ, რადგან ის უკვე შეთვისებული აქვს საქართველოს გლეხ-კაცობას) სარგებლობს. ყველაზე მეტი ასეთი სოფლებია დუშეთის მაზრაში—**219**, შემდეგ თიანეთისა — **207**, გორისა—**123** და უკანასკნელი ალაგი სიღნაღისას უჭირავს, სადაც სახელმწიფო მიწებით მოსარგებლე მხოლოდ **46** სოფელია. **1884—5** წ. წ. გამოკვლევის თანახმად, **) ამ სოფლებში სულ **48.250** კომლი სცხოვრობს; ანუ **309,086** სული ორთავ სქესისა. სახელმწიფო გლეხთა რაოდენობა სოფლებში არ შეესაბამება გუბერნიაში თვით სოფლის რაოდენობას. დუშეთის მაზრაში მაგ. **219** სოფელია სახაზინო ანუ სახელმწიფო და გლეხების რაოდენობა დანარჩენ მცხოვრებლებთან უდრის **10,10%**, ხოლო ბორჩალოში—სადაც **100** სოფელია, სახაზინო გლეხები მთელ მცხოვრებთა **15,03%** შეადგენენ, ან სიღნაღში—რომელსაც უკანასკნელი ალაგი უკავია სოფლების რაოდენობაში, სახაზინო გლეხთა რაოდენობა მთელ მცხოვრებლების—**17,75%** შეადგენს.

ტფილისის გუბერნიაში სახელმწიფო გლეხები ეკონომიურად, ე. ი. მიწათ-მფლობელობის მხრივ უფრო მძლავრს ძალას წარმოადგენენ. მთელს მხარეში გლეხ-კაცობას უჭირავს **26,9** პროც., საერთო მიწათ-მფლობელობიდან, დანარჩენი **73,1** პროც. ხაზინისა და კერძო მემამულეებისა. **26,9** პროც. გლეხ-კაცობის მიწათ-მფლობელობიდან **2,3** პრ. მოიჯარადრეების ხელშია, **1,4** პრ. —დროებით ვალდებულ გლეხებისა და **0,8%** ხიზან-გლეხებისა, ხოლო დანარჩენი **21,9** პროც. სახაზინო გლეხების ხელში.

მკითხველებმა არ იფიქრონ, თითქოს სახაზინო გლეხების ეკონომიური მდგომარეობა უკეთესი იყოს, ვიდრე დანარჩენ კატეგორიებისა; არა, სახელმწიფო გლეხ-კაცობის მიწათ-მფლობელობის სივიწროვე ფრიად გაალმასებულია, რასაც აი ეხლა უნდა შევეხოთ.

„მიწათ-მფლობელობის სტატისტიკურ ცნობათა კრებულის" ცნობებით, სახელმწიფო გლეხებს (გერმანელ ახალშენთა გამოკლებით, რომელთა განკარგულებაში სულ **14,9** ათასი დესეტინა მიწაა), **842,6** ათასი დესეტინა მიწა უჭირავს, ისე რომ თვითეულ კომლზე **17,6** დესეტინაზე მეტი მოდის, ანუ დაახლოვებით **48** ქცევა თითო კომლზე. სახაზინო გლეხები ღატაკები კი არა, ნამდვილი მემამულეები ყოფილაო!—გულუბრყვილოთ შეგვნიშნავს მკითხველი. სახაზინო გლეხების მთელ მიწათ-მფლობელობაში **9,692** დესეტინა სა-

სახლკარეა (Усадебныя), **11,110** დესეტინა საბალო, **19,0** ათასი დეს. —ტყე, საძოვარი, ხოლო სრულიად გამოუსადეგარი მიწა-წყალი **532,9** ათასი დესეტინა. ყველა ამ მიწა-ადგილებს—რომელთაც ნაკლები ან არავითარი სერიოზული ეკონომიური მნიშვნელობა არ აქვს, დღეს-დღეობით ჩვენში, და გამოსადეგი მიწა კომლზე მხოლოდ **5,6** დესეტინა მოდის, რაიც დაახლოვებით შეადგენს **14,9** ქცევას. **14,9** ქცევაც დიდათ გაჰკვირვებს მაგალითად გურულ-იმერელ გლეხ-კაცს, მაგრამ ჩვენს მკითხველებს კვლავ მოთმინებასა ვთხოვთ.

ვინც დაჰკვირვებია მთელს აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისის გუბერნიის ხრიოკ მიდამოებს მტკვარისა და ალაზანის პირად გაწოლილით, გაცნობია აგრეთვე ჩვენს გლეხ-კაცობის მდგომარეობას ტეხნიკისა და შეძლების მხრივ, ის დაინახავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სარწყავსა და ურწყავ მიწა-ადგილებს. ბლომათაა იმის მაგალითი, რომ სახნავ-სათესი მიწა-ადგილები ირიგაცია-მელიორაციის მოუწყობლობით სრულიად დაუმუშავებლად რჩება, დროთა განმავლობაში ამ ხრიოკ ადგილებზე ტყის მაგვარი რამ ამოდის, რის შემდეგ ხსენებული ადგილები ხაზინის სრულ განკარგულებაში გადადის და გლეხებს კი მიწაზე საკუთრების უფლება სამუდამოდ ეკარგება.

რამდენი საუკეთესო სარწყავი მიწა აქვს „მდიდარ" გლეხებს ამ **14** ქცევა ან **5,6** დესიატინა მიწაში, დავინახავთ, რომ **269,9** ათას დესიატინა მიწაში პირველ ხარისხის სარწყავი მიწა არის რაღაც **18** ათასი დესიატინა, მეორე ხარისხის,—ურწყავი **251,4** ათასი დესიატინა, ე. ი. ურწყავი სახნავ-სათესი მიწა-ადგილი სარწყავზე თითქმის **14** ჯერ მეტია. თითო კომლზე სარწყავი მიწა ერთი დესიატინაც არ მოდის, არამედ რაღაც **0,38** დესიატინისა.

მაგრამ გლეხ-კაცობის სივიწროვე—რა თქმა უნდა მხედველობაში გვყავს ფართე მასსა გლეხობისა—მიწადმფლობელობის მხრივ იმითაც არ დასურათდება. შეუძლებელია მეცნიერულ სისწორით გლეხ-კაცობის—როგორც წოდების, ერთ მთელის მდგომარეობის გარკვევა, რადგან საქართველოს გლეხ-კაცობა სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების განვითარებით უკვე ჩაჰრილია კლასობრივ დანაწილების ქარ-ცეცხლში. გლეხ-კაცობა ერთნაირ, ერთ შეძლებისა და უფლების მასსას როდი წარმოადგენს; მათში არიან ქონებრივად და უფლებრივად დაწინაურებულნი, აგრეთვე ყოველგვარ ქონებასა და უფლებას მოკლებულნი და სხვა.

გლეხ-კაცობის ასეთი დანაწილება მარტო ეხლა როდი დაიწყო; გლეხკაცობა სხვა და სხვა ნაწილად, კლასებად თვით გასულ საუკუნეშიც ნაწილდებოდა, რასაც ყველაზე ცხადად ნუსხავდა ჩვენი თანამემამულე, გლეხ-კაცობის ეკონომიური მდგომარეობის მკვლევარი უკვე გარდაცვლილი ილია ბახტაძე—ხონელი.

---

*) «Сборникъ статистическихъ данныхъ о землевладѣніи и способахъ хозяйства въ пяти губерніяхъ Закавказскаго края»

**) „Матеріалы для изученія Экономическаго быта Государственныхъ Крестьянъ Закавказскаго Края", I—VII ტომები.

ქალმა ითხოვა მზითევი. მთხოვნელთ ფული კენჭის ყრით მიეცათ.

◆ ტფილისის დამფასებელი კომისია 12 თებერვლიდან იმ მიწების შეფასებას შეუდგა, რომელიც უნდა გადაიდოს **ნავთლუღის რკინის გზის სადგურის გასაფართოვებლად.** მიწები ზომით 46,000 ოთხკუთხი საჟენია.

◆ 14 თებერვალს ტფილისში შეიპყრეს **ორი გადასახლებული** და თავის ნებით ტფილისში დაბრუნებული: მიხეილ ტრიფონის ძე დაპაური და ანდრია გიორგის ძე მერებაშვილი.

◆ ამ დღეებში კავკასიის **მფრინავთა ჯგუფის** წევრთა კრება მოხდა, რომელზედაც არჩეულ იქმნენ: თავჯდომარედ გენ.-მაიორი ვ. კ. კარპოვი, თავჯდომარის ამხანაგად—ინჟ. ა. კ. ბაბოვი, ხაზინდრად—ინჟ. ნ. ნ. ანდრეევი და მდივნებად —ა. ა. სამოილოვი და ა. პ. ღზიუბა.

◆ 14 თებერვალს ელისაბედის ქუჩაზე იპოვეს მდედრობითის სქესის ბავშვი, დაახლოვებით ორის კვირისა.

◆ 14 თებერვალს ტფილისში შეიპყრეს გამოქცეული **ჯარის** კაცი რუბენ აიზიკის-ძე შეისბერგი.

◆ 14 თებერვალს ტფილისში 19 უპასპორტო შეიპყრეს.

## ქალაქის საბჭო

**14 თებერვალი.**

საბჭოს დარბაზში, აგრეთვე „ჰურუარებში“ დიდხანს სიწყნარეა. ხმოსნები ზანტად იკრიბებიან. ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი არა სჩანს, რადგან უკვე გაემგზავრა პეტერბურგს ხოლერის საწინააღმდეგო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად. ხან-და-ხან ჩნდება ქალაქის მოურავის მოადგილის დროებით აღმასრულებელი გამგეობის წევრი ნ. ვ. ქოქნაევი, რომელსაც სახეზე ხვეულების წინააღმდეგ მეტი მზრუნველობა ეტყობა.

საღამოს 9 1/2 საათი სრულდება და ბ-ნ ქოქნაევის თავჯდომარეობით ძლივს იწყება კრება.

ბ-ნი ქოქნაევი კრებას წინადადებას აძლევს, ფეხზე ადგომით პატივი სცენ ამას წინად გარდაცვალებულ ხმოსნის ი. ნ. მარკოზოვის ხსოვნას. ხმოსნები ფეხზე დგებიან.

შემდეგ საბჭო უკამათოდ იღებს გამგეობის რამდენსამე მოხსენებას წვრილმან საკითხების გამო.

საბჭო ადგენს: 1) ს. ნაზაროვს ეპატიოს დასაფასებელი გადასახადი (54 მან.), თანხმად გამგეობის მოხსენებისა, 2) მიეცეს ქალაქის სასაკლაოს მუშას ა. მხითაროვს ერთ დროებით დახმარება 360 მან., 3) გადაეცეს ქალაქის პენსიონერ—მოგურსკის ქვრივს ძველის პენსიის ნახევარი (120 მან.), 4) მიეცეს ერთ დროებითი დახმარება (250 მან.) პოლიციელს ს. ჟდანოვს, 5) მიეცეს ერთდროულ დახმარებად სახალხო სახლის მსახურის ნასყიდაშვილის ქვრივს თავის ქმრის ორის თვის ჯამაგირი, 6) მიეცეს დახმარება გადამდებ სენის ავადმყოფთა სამკურნალოს ზედამხედველად ნამყოფს ზეკულოვს, 7) უკან დაუბრუნოს თომიხოვს თავისი შენობები, რომელიც ქალაქს დარჩა, 8) გადაეცეს განსახილველად სატექნიკო და იურიდიულ კომისიებს თხოვნა სახლის მეპატრონის მარიამ ფრიდონოვისა, რომელიც ქალაქისგან ითხოვს იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მას მიაყენა ქალაქის წყალსადენის მილის გაფუჭებამ და 9) გადაეცეს იურიდიულ კომისიას განსახილველად საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქმა მორიგებით გაათავოს დავა მ. დ. სასსინთან, რომელიც ქალაქს უჩივის.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა იმის შესახებ, რომ ცეცხლის მქრობელი რაზმი ქალაქის ხელში გადავიდეს.

თავ. ნ. ე. არღუთინსკი ამტკიცებს, უმჯობესია რაზმი ქალაქის ხელში გადავიდეს, მით უფრო, რომ ქალაქს მის შესანახად უდგება-წლიურად 28,000 მანეთი ეხარჯება. ამასთანავე იხსენიებს იმ ლიტერატურას, რომელიც ამ საგნის შესახებ არსებობს.

ხმ. ხუნუნცის აზრით, ქალაქის გამგეობა იმ საქმეებსაც ვერ უძღვება, რომელიც დაკისრებული აქვს; ამიტომ საჭირო აღარ არის, გამგეობას ახალი მოვალეობა დავაკისროთ, მით უფრო, რომ ცეცხლის ქრობის საქმე ტფილისში ისედაც კარგად არის დაყენებული.

ი. მ. დოლუხანოვი: აქ პრინციპიალური საკითხი არ არის. საქმეს რეალურად უნდა შევხედოთ. თქვენ რომ დაგემტკიცებინათ, რომ ცეცხლის ქრობის საქმე ქალაქის ხელში უკეთ წავიდოდა, მაშინ მეც დავეთანხმებოდი ქალაქის გამგეობას. ახლა კი ეს არა მწამს და ამიტომ წინააღმდეგი ვარ, რომ ცეცხლის მქრობელი რაზმი ქალაქს დაექვემდებაროს.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. დოლუხანოვს ემხრობა.

ხმ. ენფიანჯიანცი. ამ აზრის მომხრეა, რადგან პოლიციის მეტი დისციპლინა აქვს.


მხოლოდ 1 მარტამდე მიიღება ხელის მოწერა
არჩილ ჯორჯაძის ნაწერებზე:
„ეროვნულ პრობლემის გარშემო“.
(პუბლიცისტური ეტიუდები; ნაწილი პირველი)
ამ წიგნში შევა უკანასკნელ წლებში სხვა და სხვა გაზეთებში დასტამბული პუბლიცისტიური წერილები, წინასიტყვაობით. წიგნი დაახლოვებით იქნება 250 გვერდი და ამ თავითვე ხელის-მომწერთათვის ეღირება ორი აბაზი (40 კ.). გასასყიდად გამოსვლისას ფასი მომატებული იქნება.
ხელის-მოწერა მიიღება **ტფილისში:** „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში. **თელავში:** ვანო პაატაშვილთან.
დანარჩენ ადგილებიდან ხელის-მომწერლებმა ფოსტის ხარჯად 10 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (9—4)


ხმ ი. ს. ჯაბადარი: გასაოცარია საქციელი იმ ხმოსნებისა, რომელნიც წინააღმდეგნი არიან გამგეობის მოხსენებისა. ქალაქი თვით ხარჯავს ფულს რაზმის შესანახად, მიტომ იგი ყველაზე მეტად დაინტერესებული უნდა იყოს ამ საქმით და მცხოვრებთა სარგებლობით.

გ. ი. ხატისოვი. ჩვენ მუდამ მომხრე უნდა ვიყოთ მუნიციპალიზაციისა, ჩვენის უფლებების გაფართოვებისა. გამგეობის მოხსენების უარყოფით მხოლოდ ჩვენს უღონობას დავამტკიცებთ.

ხმ. სვეშნიკოვი. თუ საქმეს იმ თვალით აზრით შევხედავთ, რომ პოლიციას ქალაქის თვით მმართველობაზე უკეთ შეუძლიან ცეცხლის მქრობელ რაზმის შენახვა, მაშინ ბოლომდე უნდა მივყვეთ ამ შეხედულებას და ქალაქის საქმეები დირექციას უნდა გადავცეთ, ხოლო ქალაქის სამკურნალოები—სამკურნალო სამმართველოს.

საბჭო ხმის დიდის უმრავლესობით უარჰყოფს გამგეობის მოხსენებას.

დასასრულ კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ სავაჭრო დეპუტატები: ბროვკინი, ბასილოვი, ადიკაბაროვი, კასპიევი, კვანჭიძე, კერერი და ღუდიჯანოვი. მათ კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: აბოვიანცი, დარახველიძე, რევაზოვი და თოიძე.

კრება საღამოს 10 ნახევარ საათზე დასრულდა.

## მცირე შენიშვნა

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ, ქართველთა, რიგიანად შემუშავებული ლექსიკონი არა გვაქვს. ამიტომ მეტად სასიამოვნოა, რომ ამ ნაკლის შევსება თავს უდვია წერა-კითხვის საზოგადოებას. მაგრამ მაგარი ის არის, თუ როგორ და რა რიგად იქნება შევსებული ეს ნაკლი. თუ ისეთივე „გასწორებული“ და „შევსებული“ გამოვიდა მომავალი გამოცემა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონისა, როგორიცაა ამავე საზოგადოების მიერ გამოცემული მისივე რუსულ-ქართული ლექსიკონი,—მაინც და მაინც ამ საქმის ინიციატორნი და სისრულეში მომყვანნი დიდს სამსახურს ვეღარ გაუწევენ ქართველ საზოგადოებას. და ეს რომ ასე აღარ მოხდეს, საჭიროა მეტი დრო და შრომა მოხმარდეს ამ საქმეს. დ. ჩუბინაშვილს აუარებელი სიტყვები გამორჩა და ვეღარ მოაქცია თავის შრომაში. მასთან ბევრი სიტყვა ვერაა კარგათ ახსნილი და ეს არც გასაკვირველია: მან, სამშობლოდან რამდენიმე ათას ვერსით დაშორებულმა, ოთხ კედელ შუა შეიმუშავა თავისი ლექსიკონი, რის გამოც ცოცხალ, მუდამ მოძრავ ენაში ხმარებული სიტყვები ბევრი გამორჩა. აი ასეთი ნაკლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სოფლად მომუშავე ინტელიგენციის დახმარება: ისინი ტრიალებენ ხალხთან, ამიტომ მათ უფრო შეუძლიანთ ისარგებლონ მუდამ ცოცხალი, მუდამ ცვალებადობაში მყოფი ენით. არა ერთ ასეულსა და ორ ასეულს სიტყვას მიაწვდიან ისინი ამ საქმის მოთავე კომისიას. ამასთან მეტის მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ ენის კილო-კავებს: ამ კილო-კავებმა შეინახეს ბევრი ძველებური სიტყვა, რომელთა აღნუსხვა მეტად საჭიროა და თან აუცილებელი. გვხსომებაა, თუ როგორ ახსნა მთელმა კომისიამ, რომელშიაც ჩვენი ლიტერატურის ბურჯნიც ღებულობდნენ მონაწილეობას, „ვეფხის ტყაოსანში“ ნახმარი სიტყვა „მანგი“ (პირი მანგი). ამ სიტყვას კი დღეს ყოველივე ნაბიჯზე ხმარობს მეგრული „სწორის“ (აზრით) მნიშვნელობით. როგორც სიტყვის ცვალებადობის მხრივ, ისე ისტორიის მხრივაც პროვინციებში ხმარებული ბევრი სიტყვა მეტის მეტად მნიშვნელოვანია. მაგალითად: გურიაში ხმარობენ „დუდი“ს (მეგრული დუდი—თავი) ქათმის ბიბილოს მაგიერ, ხოლო ერთნაირ ნიადაგს უწოდებენ „დიხაშხორ“-ს. ყუდე — მეგრ. სახლსა ჰქვიან, ხოლო იმერეთში ერთნაირ კოხსა, დაყუდებულ ძელთაგან გაკეთებულს უძახიან „ყუდულს“ და სხვა და სხვა. ხშირად ხალხურ ენას შეუნახავს ისეთი მოხერხებული და მოვლენაზედ გამოჭრილი სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, მეგრული „ჭოროფა“—წვიმიანი წელიწადი. აი კიდევ მაგალითი: ლიტერატურულმა ენამ არ იცის, თუ როგორ გაარჩიოს ქინაქინის გემო და პილპილისა: ორივეს მწარეს უძახის. ხოლო მეგრელები „მწარეს“ ეძახიან პილპილის და მისთანა საგანთა გემოსა, ხოლო ქინაქინის და მის მაგვარ საგნების გემოს—„კოლოს“ ეძახის. ამავე სიტყვის ძირიდანაა წარმოებული „იმერული“ სიტყვები—კოლოჭურა, კოლინჯი (კოლინჯი—კოლოჯინჯი), ესე იგი ძიმწარი. ქართულ ენაში შორისდებულად დარჩენილ სიტყვებს „აჩი“, „აჩუს“ ასახსნელად ილიას დასჭირდა ნემეცურ ენის მიშველება მაშინ, როდესაც აფხაზურად იგივე („აჩი“—ცხენი) აზრით იხმარება, როგორც გერმანულში. სიტყვა „აკუკუა“ (აკუკუსა) იმავე აზრით იხმარება აფხაზურად, როგორც საბას აქვს განმარტებული თავის ლექსიკონში. მკითხველს სიტყვების ჩამოთვლით არ შევაწუხებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ დიდს შეცდომას ჩაიდენს წერა-კითხვის საზოგადოება, თუ კი არ ისარგებლა სოფლად მომუშავე ინტელიგენციის გამოცდილებით რათა რაც შეიძლება მეტის სისწორით იქმნას განმარტებული საექვო სიტყვები. ურიგო არ იქნება, ამის თანა სიტყვები გაზეთებში დაიბეჭდოს და მათი განმარტება მოითხოვოს პროვინციაში მომუშავეთ.

რაც შეიძლება მეტ პირს მიაღებინეთ მონაწილეობა, და მომავალს თაობას მისცემთ კარგათ დამუშავებულ ლექსიკონსა. **ნიკო ჯანაშია.**

## წერილი ქვემო-ქიზიყიდან

დაძაბუნდა კაციც და ბუნებაც. უნახავი სიცივე მძვინვარებდა ჩვენს მხარეს: 27-ს დეკემბრიდან ვიდრე თებერვლის 6-დე აუტანელი სიცივეები იყო. სიცივის მაჩვენებელი (რეომიურით) თებერვლის ექვსამდის [illegible] და სიცივეს 1—8°-დის. ამ [illegible] ლვამ ისე დახეთქა დედა-მიწა, რომ ნახეთქში ფეხი ჩაგივარდებათ. მდ. ალაზანი, ადლის სიღრმეზე გაჰყინა. ალაზნის ჭიდამოებში გაჩენილი თავვი სიცივემ და შიმშილმა გასწყვიტა ან მთლად, ან ვეღარას მოქმედობს. არც ფრინველთ და ოთხფეხთ დააკლო სიცივემ: სიცივისაგან დახოცილი შაშვი ხშირად შეგხვდებათ მინდვრად, ალაზნის ნაპირებზე და ტყეში. პატარა მეძროხე ბიჭები ფეხ და ფეხ იჭერენ დამძრალ-დაძაბუნებულს კურდღლებს!

აი ესეთი სიცივე იყო ქვემო-ქიზიყში, მაგრამ ბუნების კილოს ვინ გაიგებს? ექვს თებერვლიდან ვიდრე აქამომდე სასიამოვნო თბილი ტაროსი დაიჭირა: თუმცა თოვლ-ჭყაპი მოდის, მაინც სითბომ აიწია 6—7°-დის. შემოდგომაზე დათესილმა პურის მარცვალმა ეხლა-ღა ამოჰყო თავი, იმედს იძლევა. ბალახეულობა იღვიძებს. ბედ-შავს გლეხს გულის იმედი ჩაესახა. ბუნება იშვიათად უმტყუნებს მშრომელს, მაგრამ აბა მოისმინეთ, თუ კაცი კაცს რა უძირო ორმოში აგდებს უსამართლოდ!

წარსულს წელს იყო და ქვემო-ქიზიყელებს ბევრს უსამართლოდ წაერთვათ დიდ-ძალი ფული სახელმწიფო მიწების მფლობელობის დარღვევის გამო. თუმცა ბევრს გლეხთაგანს ხელთ ეპყრა ტყის მცველისაგანვე მიცემული საიჯარადრო ხელწერილი, მაგრამ მაინც ესეთი პირნიც კი სამართალში მიეცნენ და ფულიც გადაჰხდეთ. ეს კიდევ არაფერი, თავხედობა და კანონის გადათელვა ის იყო, რომ სასამართლოს იასაულმა საქმის აღსრულებისათვის თვითეულ დამნაშავე გლეხისაგან (30 კაცზე მეტი იყო ს. ჯუგაანში) აიღო 20—25 მანეთამდის თავის სასარგებლოდ, თუმცა კანონით 14 მან. ეკუთვნოდა.

აი ეხლა არის და თითქმის ერთ მეოთხედს ნაწილს თვითეული სოფლის მცხოვრებელთაგანს ხან განურჩევლად ერთმევათ გადასახადი სახელმწიფო ტყეების გაჩეხვისა გამო 1905—6-ს წლებში. ა! შეუბრალებლობა იმაში არის, რო ბრალიანი და უბრალო თანა ჰყვება: ბევრს ისეთს ერთმევა ფული, რომ არამც თუ ტყე გაეჩეხნოს, ამ დროს ალაზნის მიდამოეფში ფეხიც არ დაუდგავს. ეკითხავთ საქმის გარჩევის დროს რატო პასუხი არ შეიტანა უდანაშაულო გლეხმა, ან მოწმები არ იყოლიაო. ამაზე გულდამწვარი გლეხი რისხვა-ფიცით გიპასუხებთ: საქმეც ის არის, რო არც „პოვესტკა“ მომსვლია ვერც დავესწარ გარჩევასაო. აი აქა სტკივა გლეხს გული!

ეს გადასახადი ფული დიდს რიცხვს შეადგენს. მაგ. ქვემო-მაჩხაანის გლეხებმა გაიღეს 5000 მანეთამდის, ჯუგაანმა—1000 მ. და ეგრე კიდევ სხვა სოფლებმა. ვინღაა დამნაშავე ამ უსამართლობის ჩადენაში? ეს არიან ზნე-

---

„სტატისტიკურ კრებულის“ მესვეურს სოფლებად დაუყვია გლეხკაცობის მდიდარი და ღარიბი ნაწილები. რა თქმა უნდა უმჯობესი იყო ჩვენს სტატისტიკებს სხვა წესით, სხვა სისტემით გადმოეცა სოფლის მცხოვრებთა კლასობრივად დანაწილების სურათი, მაგრამ ის, რასაც სტატისტიკა გვაძლევს მაინც ფრიად საყურადღებო, საინტერესო მასალაა ჩვენთვის.

ამ „კრებულის“ ცნობით, ტფილისის გუბერნიაში, 941 სოფლებიდან 201 სოფელია ისეთი, რომელთაც თვითეულ კომლს უწევს საშუალოდ 17,6 დესიატინა კი არა, არამედ რაღაც 0—1 დესიატინა, 26 სოფელია 1—2 დესიატინით, 44—2—3 დესიატინით და სხვა. ხოლო 52 სოფელია, სადაც თითო კომლზე 100—200 დესიატინა მოდის და 5 სოფელი, რომელშიაც კომლზე 200—449 დესიატინა უწევთ. მარტო ეს ცნობებიც ჰმოწმობს, თუ რა რიგ უსწორ-მასწორია ამ მხარეში სახელმწიფო გლეხების მიწათმფლობელობა.

ოფიციალურ სტატისტიკის გადამუშავება ჩვენ გვიჩვენებს, რომ თითო კომლზე მოდიოდა:

| სოფლ. რაოდ. | დეს. | საშუალოდ დეს. |
|---|---|---|
| 224 | 0— 5 | 2,5 |
| 192 | 5— 10 | 7,5 |
| 181 | 10— 20 | 15,0 |
| 288 | 20—100 | 60,0 |
| 57 | 100—499 | 274,5 |

ეს ცნობა აშკარად გვიჩვენებს თუ რა რიგ უსწორ-მასწორად ყოფილა სოფლებში მიწა დანაწილებულ-დასაკუთრებული. 224 სოფელს მაგალითად აქვს სულ 560 დესიატინა, 57 სოფელს კი მთელი 15,646,5 დესიატინა, ე. ი. ოთხჯერ ნაკლებ ხალხს, ჰქონია ოც-და-შვიდჯერ მეტი მიწა-ადგილი.

მაგრამ, მრავალ-რიცხოვან ხალხის აგრე მიწის სივიწროვე მცირე ჯგუფ-სოფლებში ხარჯზე კიდევ უფრო უარეს სურათს გადაგვიშლის, როდესაც გავითვალისწინებთ ზემო ცნობებიდან თუ რამდენი მოდის სახნავ-სათესი მიწა—რომელსაც, როგორც ვთქვით, უაღრესი მნიშვნელობა აქვს გლეხობისათვის და აგრეთვე სახნავ-სათეს მიწიდან რამდენია პირველ ხარისხისა და უკანასკნელისა.

სახელმწიფო გლეხების საერთო მიწა-წყალს — სახნავ-სათესი მიწის რაოდენობა შეადგენს 269,897 დესიატინას, გერმანელ ახალშენთა მიმატებით 275,900 დეს., რაიც სახელმწიფო გლეხობის მიწა-წყლის 31,43% შეადგენს. სახნავ ადგილში სარწყავ მიწის რაოდენობა უდრის 24,507,10 დესიატინას მთელ 275,900,10 დესიატინიდან, რაიც შეადგენს მხოლოდ 8,88%, დანარჩენი 91,12% ნაკლებ ხარისხის ურწყავი მიწაა.

გამოვიანგარიშოთ ზემოთ აღნუსხულ სოფლების **სახნავ-სათესი** მიწა:

224 სოფლისათვის 2,5 დესეტინა შეადგენს 100%, 192 სოფლისათვის 7,5 დესიატინა—100% და ასე ქვევით, რაიც შემდეგ ნაირად გამოიხატება:

224 სოფელი ( 2,5 დეს.)=100%
192 „ ( 7,5 „ )=100%
181 „ (15,0 „)=100%
288 „ (60,0 „)=100%
57 „ (274,5 „)=100%

ეხლა ვიკითხოთ, რამდენი მოუწევს ამ სოფლების **სახნავ-სათესი** მიწა, როდესაც სახნავ-სათეს მიწის რაოდენობა მთელ 100%-დან მხოლოდ 31,43% შეადგენს? ამის გამოანგარიშებით აი რა სურათი გვეშლება თვალ წინ:

224 სოფლის სახ.-სათ. მიწის რაოდენობა უდრის 0,8 დეს.
192 „ „ „ „ „ 1,2 „
181 „ „ „ „ „ 4,7 „
288 „ „ „ „ „ 18,9 „
57 „ „ „ „ „ 87,3 „

ვგონებ, რომ ეხლა კიდევ უფრო ცხადია თუ რა რიგადაც მცირე ყოფილა გლეხ-კაცობის საწარმოვო ობიექტი—სახნავ-სათესი მიწა. 224 სოფელს ერთი დესეტინაც სახნავ-სათეს მიწისა არ უწევს, არამედ რაღაც 0,8 დესიატინა საშუალოდ, 192 სოფელს ერთი მეორეზე 1,2 დესიატინა და მხოლოდ მცირე რიცხოვანი ჯგუფია ძლიერ მდიდარი, რომელთაც, მაგ. 57 სოფელს ყველა (ცნობები 1 კომლზეა) 87,3 დესიატინას აღწევს.

ეხლა კიდევ უფრო საინტერესო იქნება, როდესაც აქედან გამოვიყვანთ თუ რამდენი მოდის თითო კომლზე ერთი მეორეზე სარწყავი და ურწყავი სახნავ-სათესი მიწები. მთელ მიწებიდგან სარწყავ მიწის მხოლოდ რაოდენობა 8,88% შეადგენს, ხოლო ურწყავი —91,12%. მაშ გამოვიანგარიშოთ და დავინახავთ, რომ თითო კომლზე:

| სოფლებში | სარწყავი მიწა მოდის | ურწყავი მიწა მოდის |
|---|---|---|
| 224 | 0,07 დეს. | 0,73 დეს. |
| 192 | 0,11 „ | 1,09 „ |
| 181 | 0,42 „ | 4,28 „ |
| 288 | 1,68 „ | 17,22 „ |
| 57 | 7,75 „ | 79,55 „ |

თქვენ ხედავთ, რომ რამდენათაც სინამდვილეს ვუახლოვდებით, იმდენადვე ნოლები ხშირად გვხვდება, იმდენათვე ნოლებიანთა რაოდენობაც იზრდება. მაგრამ, ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები მხოლოდ მთელ კომლს, მთელ ჯალაბობას ეხება. ეკონომიურ თვალთ-საზრისით კი ფრიად საჭირო და საგულისხმიეროა იმის გამოანგარიშება, თუ რამდენი მოუწევს სახნავ-სათესი მიწა თვითეულ სულს.

თვითეულ სულზე მოვა:

| სოფლებში | სახნავ-სათესი საერთოდ | სარწყავი | ურწყავი |
|---|---|---|---|
| 224 | 0,12 დეს. | 0,01 დეს. | 0,11 დეს. |
| 192 | 0,19 „ | 0,02 „ | 0,17 „ |
| 181 | 0,73 „ | 0,06 „ | 0,67 „ |
| 288 | 2,79 „ | 0,25 „ | 2,54 „ |
| 57 | 13,64 „ | 1,21 „ | 12,43 „ |

ცხადია რომ ტფილისის გუბერნიაში, სადაც მსხვილ მიწათმფლობელობას ოქროს ტახტი აქვს დადგმული, მწარმოებელ საზოგადოების დიდი უმრავლესობა ნოლებიან საკუთრებით არის აღჭურვილი, რომ მხოლოდ სოფლების უუმცირესი ნაწილია ისეთი, რომელსაც ასე თუ ისე შეეძლება თანამედროვე დუხჭირ წეს-წყობილების მოთხოვნილებებს სათანადო პასუხი გასცეს...

თბილისის გუბერნიის გლეხებს ის მცირე ნაკვთი მიწებისა, რომლის კონკრეტიული სახე უკვე წარმოდგენილი გექნებათ ერთად, ერთ ალაგას თავ-მოყრილი როდი აქვს, არამედ დაქსაქსული და დანაწილებული სხვა და სხვა კუთხეებში.

ამ გარემოებისათვის ყურადღება „სტატისტიკურ ცნობათა კრებულის“ მიუქცევია და აღიარებს, რომ 52 სოფლიდან მხოლოდ 12-ს აქვს თავიანთი საკუთრება-მიწა ერთად, დანარჩენი კი აქა-იქ არის გაფანტული. „თუ რამდენად დაქსაქსულა გლეხების მიწები —ამბობს „კრებული“ —იქიდან დაინახავთ, რომ ზოგიერთ საზოგადოებებს 8—20 ვერსის მანძილზე აქვს თავისი სოფლიდან, ამავე დროს ერთ და იმავე სოფლების მიწები ხშირად დაყოფილია კერძო მესაკუთრეთა მამულით ან მთელ სოფლებით, რისთვისაც შორს მდებარე მიწები დაუმუშავებელი რჩებიან და მაშასადამე გლეხისათვის ნაკლებ სასარგებლო“.

დიაღ, სახაზინო გლეხების გაჭირვება სახნავ-სათეს მიწების მხრივ პირდაპირ ზღაპრულია და აუტანელი. ამ ნიადაგზე ყოვლად შეუძლებელია რაციონალურ მეურნეობის მოწყობა და უმაღლეს ეკონომიურ ფორმაციის წარმოშობ განვითარება; მაგრამ სახელმწიფო გლეხებ შორის მცირე ნაკვთიან გლეხებს გარდა არიან აგრეთვე ისეთებიც, რომელთაც სრულიად არა გააჩნია რა კერძო საკუთრებისა. არა თუ სახნავ-სათესი მიწები, სარწყავი და ურწყავი, მით უმეტეს ბაღები და სხვა,—არამედ თვით სამოსახლო ადგილებიც არ აქვთ გადატაკებულ ნაწილს გლეხ-კაცობისას და ასეთ ბოგანოებს ოფიციალური სტატისტიკა 80—90 წ.წ. ნუსხავდა მთელ ტფ. გუბერნიაში 2034 სულს მამობრივ სქესისას, რომელთა უმრავლესობაც სცხოვრობს გორის მაზრაში—1024 სული, ბორჩალოსი—563, თბილისისა—177 და დანარჩენს მაზრებში—270 სული.

მას აქეთ 20 წელზე მეტია, ჩვენი სოციალური და ეკონომიური ცხოვრება ახალ გზაზე შესდგა, ეკონომიური კრიზისი ქრონიკულ მოვლენად გადაიქცა, ბიუროკრატიული სიდუხჭირე საზოგადოებრივ ცხოვრების საფუძვლად და განა სახელმწიფო გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებული არ იქნება? და ბოგანოთა რიცხვი გამრავლებული? და ამ აშკარა სინამდვილეს აპრიორულათ აღიარებენ არა მარტო ჩვენი საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწენი, არამედ თვით ბიუროკრატიულ მთავრობის სულის მდგმელნი თავიანთ ყოველწლიურ უქვეშევრდომილეს მოხსენებებში, რომელიც გამოდის ყველა გუბერნიებში არსებულ საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტების გამოცემის სახით. **თევდ. ღლონტი.**

ობით დაქუცმაცებული ტყის ყარაულნი ხელ-ქვეითნი „ობეშჩიკები“, რომელნიც თავიანთ პირადის ინტერესებით ასმენდნენ ტყის-მცველს და ეს კიდე განუკითხავად ოქმს უდგენდა.

დღეს კი ეს ტყის-მცველი უ. ბ—ცკი თავის შეცდომას მიჰხვედრია და უნდა გულ-ჩათუთქულს გლეხს წამალი დაადოს: „წადი მოიტა ფიცის ქაღალდი (იცის კი გლეხმა სად იშოვოს?) დაიფიცე ჯვარზე და სახარებაზე, რო შენ არ გაგიჩეხნია და გეპატივება“.

ვაი შენდა უსამართლობავ, ვაი შენდა ქიზიყელის დაბეჩავებავ!

ქიზიყელი.

## ხმა სამეგრელოდან

1911 წლის პირველ დღეს წვიმა მოვიდა, მეორე დღეს საგრძნობლად აცივდა, ხოლო მესამე დღეს თოვლი ჩამოცვივდა. ამ დღის აქეთ ბუნების სისასტიკეს თან და თან ემატა. ქარ-ბუქი, თოვლ-ჭყაპი და მასთან იმისთანა სიცივე, რომ ფრინველები იყინებოდნენ ფრენის დროს. 16 იანვრამდე $2^{1}/_{2}$ არშინის სიმაღლეზე დასდო თოვლი; მრავალ ალაგას სახლი ჩაანგრია და საცოდავი მდგმურები იძულებული გახდნენ სხვის სახლში შეხიზნულიყვნენ. ღრმად მოხუცებულები ირწმუნებიან ამისთანა თოვლი არ გვასოვსო. ყველაზე უფრო უშიშობამ შეგვაწუხა. რაც ღობეები და მესრები ჰქონდათ სულ დაარღვიეს. ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, არ იცის როგორ დააღწიოს თავი ათას ნაირ დაბრკოლებებს. 16 იანვრის ღამე მთლად საშინელი იყო: თოვლი, კორიანტელი სულ არ შეწყვეტილა. ასე რომ 25 იანვარს თოვლის სიმაღლე ერთ საჟენამდე ავიდა. მომეტებული თოვლი განსაკუთრებით ჩრდილოეთ სამეგრელოშია. ამისთანა სუსხიან ზამთარს შედეგად მოჰყვა მრავალი ავადმყოფობა, რომელიც მუსრს ავლებს მკვიდრთ. ექიმის მოყვანას ხალხი ვერ ახერხებს უგზოობის გამო და ამიტომ ბევრი ავადმყოფი უექიმოდ ესალმება წუთისოფელს. უფრო საძნელო და გულშემზარავია მათი დასაფლავება: შეიკრიბებიან მრავალი ახალგაზდები ნიჩბებით და იწყებენ გზის გახსნას იმ სახლამდის, სადაც მიცვალებული ასვენია, შემდეგ მღვდლისას მიაკეთებენ გზას და მას წამოიყვანენ ანდერძის ასაგებად. შემდეგ კი ყვი-რილით და კიჟინით მიასვენებენ ეკლესიის გალავნამდე.

28 იანვარს ცა მოიწმინდა და საშინელი ყინვები დაიჭირა. გზები ყველა შეკრულია. ადგილობრივ პოლიციამ აქა-იქ გამოიყვანა ხალხი გზის გასაწმენდად, 3 თებერვალს დიდი ქარი ამოვარდა.

დარიკოშვილი.

## მოწერილი ამბები

ს. ნიგოითი (გურია). ნიგოითში, როგორც გურიის სხვა სოფლებშიაც დიდი თოვლი მოვიდა. იანვრამდე გამუდმებული ყინვები იყო და ამბობდნენ თოვლი აღარ მოვაო, მაგრამ იმედი არ გამართლდა. თვენახევარია რაც ცხენით მიმოსვლა სოფლიდან-სოფლამდე სრულიად შეწყვეტილია. მდინარეები დაშრა, წისქვილები გაიყინა. სიმინდს სანახევროდ ჰფქვავენ ხელსაფქვავებზე შიმშილისაგან შეწუხებული მცხოვრებნი. შემაც მამასისხლად გახდა; თუ ერთი საჟენი წინედ 12 მანეთი ღირდა, დღეს ასეთ შეშას ვერც 25 მანეთად იშოვნით.

„ორ უბედურებას მესამეც უკან მოსდევსო“ ნათქვამშია;—შინაურ პირუტყვებს ეს ზამთარი სწორედ გამანადგურებელ სენად მოევლინა; გამოუვათ პირუტყვები სოფლად და ეძებენ გასაზამთრებლად და ნახევარი მისცენ, მაგრამ სოფლელებმა როგორ უნდა აიყვანონ პირუტყვი, როდესაც თავის საქონლისთვის არა აქვს სამყოფი ჩალაბალახი. ღმერთი მთლად არ მოიძულებს გაჭირვებულ ხალხს და ამათაც გაუჩნდათ „ჭირისუფალნი“. ეს გახლავთ მეყასბეები, რომლებიც ხალის ფასად უიდულობენ საკლავს, გაგონებით ბათუმში ჰგზავნიან. აქაური გლეხის მარჩენელი სიმინდია. შარშან სიმინდის მოსავალს არა უშავდა, მაგრამ გლეხებს ამითაც არ უსარგებლნიათ, რადგანაც გაჭირვებმა ვალში ფუთი 40 კაპ. ჩამოაცალეს. ამ გვარად გლეხის ოჯახი გასული წლის სიმინდის მოსავლიდან მშრალზე დარჩა.

ნიგოითის სადგურზე ფოსტის განყოფილება არ არსებობს, იმიტომ ამ საზოგადოების მცხოვრებნი და აგრეთვე ის საზოგადოებანიც, რომლებიც ნიგოითის სადგურზე დებულობენ უბრალო კორესპონდენციას, იძულებულნი ხდებიან დაზღვეული წერილები დანიშნულის ფოსტის განყოფილებაში მიიღონ, რომელიც დაშორებულია ნიგოითზე 7 ვერსის მანძილზე. ნიგოითის სადგურის უფროსი ბ. კირილე დიდიძე ნიგოითის საზოგადოებას ესაუბრა სადგურზე საფოსტო განყოფილების დაარსებაზე. ნიგოითის საზოგადოებამ ამ საქმის თაობაზე განაჩენი დაადგინა და დიდიძეს დაავალა შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს.

საჭიროა სხვა ახლო-მახლო სოფლებმაც შეადგინონ ასეთივე განაჩენი და მასვე მიანდონ, რომელიც თავის შესაფერის დასაბუთებით უმაღლეს ინსტანციაში წარადგენს. იმედია ბ. კ. დიდიძე დააგვირგვინებს მისგანვე დაწყებულ საქმეს. ერ. ნიგოითელი.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მოგვცეთ ვაუწყოთ თქვენი გაზეთის საშუალებით როგორც საზოგადოებას, ისე დაინტერესებულ პირთ, შემდეგი:

წელიწად ნახევარზე მეტია რაც თ. თ. ნატალია და ჯუმბერ ნიჟარაძეთ და ბ. სოლომონ ახვლედიანს პარიზის ქართველთა საზოგადოების ვალი 230 ფრ. გაჰყვათ. ჩვენი ღარიბი კასისათვის კი 230 ფრანკი მეტად და მეტად საგრძნობელი დანაკლისია. ეს ფული მათ სამშობლოში ჩასვლისთანავე უნდა გამოეგზავნათ. მას აქეთ, საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, გამგეობამ სამჯერ დაზღვეული ბარათით მიჰმართა ჯერ ბ. ს. ახვლედიანს, შემდეგ ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლს თ. დავით ნიჟარაძეს, (ზემო ხსენებულს ნიჟარაძეების მამას), და ვალი მოაგონა, მაგრამ ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო. ამის გამო საზოგადოების კრებამ დაადგინა ერთხელ კიდევ სცადოს და პრესის საშვალებით გაახსენოს, თავის გულ-მავიწყ მოვალეებს, რომ მას, კიდეც რომ ჰსურდეს, არავითარი საშუალება არა აქვს რაიმე რეპრესიები იხმაროს, მხოლოდ ძალ-დატანება ყოველთვის საჭირო არ უნდა იყოს თვით ისეთს არა სასიამოვნო საქმეშიაც კი, როგორც ვალის გადახდაა.

იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ ჩვენი საზოგადოებაც მიაქცევს ბოლოს შესაფერ ყურადღებას ამ უნუგეშო მოვლენას, რომლის გამო არა-ერთხელ აუმაღლებიათ ხმა რუსეთში მოსწავლე ჩვენს ამხანაგებს.

გამგეობის ადრესი: A. Djanelidze. 9, rue Berthollet, Paris.

პ. ქ. ს—ის გამგეობა ( ა. ჯანელიძე. ( გ. ციციშვილი.

P. S.—ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ ულრმესი მადლობა გამოვუცხადო—ქუთაისის ქალთა წრეს,—რომელმაც უსასყიდლოდ უგზავნა 1910 წელში კოხბოულის ორკლასიან სასწავლებელს საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“ — სკოლის ზედამხედველი.

ლავრენტი ხარშილაძე.

—

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ პატივცემულ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა შევსწირო როგორც პირადად ჩემი, ისე ჩემდამი რწმუნებულ სოხუმის ქართულ სკოლის პატარა მოწაფეების მაგიერ ქვემორე დასახელებულ პირთ, რომელთაც უხვი შემოწირულება გაიღეს ამ სკოლის სასარგებლოთ, სია შემომწირველთა:

1) მასწავლებელმა ალექსანდრე პ. გიორგობიანმა შემოსწირა: 50 სურათი კედლისა—Якобсенъ. Естест.-историческій атласъ.—20 ცალი კიდევ კედლის სურათი და 13 სურათი საღვთო ისტორიის ახალ-აღთქმიდან.

2) ბ. იასონ გეგელაშვილმა მეფე ნიკოლოზ მეორის დიდი სურათი, აკაკის სურათი მშვენიერი ჩარჩოთი გალამაზებული და ჯემის საუცხოვო მოდელი.

3) ნესტორ იოსების ძე გოგიჯანაშვილმა—მთელი სერია კედლის სურათებისა სახელწოდებით „Вся Россія“, გამოცემა სიტინისა, ორ მანეთზე მეტად ღირებული.

4) ნინო ერმილეს ასული ერქომაიშვილისამ—ერთი პარტა და ერთი სკამი.

5) ნინო ალექსანდრეს ასული გეგელაშვილისამ—ჩაკადულის და ნივის ნომრები წარსულ წლებისა.

6) ოლღა დიმიტრის ასული გოგრიჩიძისამ—წარსული წლების ნაკადულის ნომრები, რუსული საბავშვო წიგნები, ორი ბაირაღი და სამი მანეთის ქინაქინა და კაპსოლები.

7) კნ. ანა ნიკოს ასული აგალიშვილისამ—ერთი ტახტი.

8) კნეინა მარია ნიკოს ასული ანჩაბაძისამ—ოთხი საჟენი შეშა.

9) გიორგი ბეჟანის ძე გვალიამ—12 ვენური სკამი.

10) ბ. კოსია ურიდამ—ერთი პარტა, 20 მ. ღირებული.

11) კნეინა დესპინე გრიგორ შერვაშიძის ასულ გელოვანისამ—ერთი შკაფი.

12) ფოთელ ტყის მრეწველმა ბ. მასიკო უნგიაძემ—ფულად 20 მანეთი.

13) თავადის-შვილმა დიმა შერვაშიძემ—თავის საყმაწვილო ბიბლიოთეკიდან—ხუთი წიგნი.

14) მამა მიხელ გვაზავამ—მთელი წლის საყოფი მელანი და სამელნეები.

ხოლო ექიმი ვ. მ. მახვილაძე დაგვპირდა უსასყიდლოთ გასინჯვა მოწაფეებისა. მედიცინის ფერშალი არ. გ. ბურჭულაძე უსასყიდლოთ დადის სკოლაში და საჭიროების დროს დარიგებას აძლევს ბავშვებს. ქალაქის აფთიაქის მოიჯარადრე ივანე გაბ. ბურჭულაძე დაგვპირდა ქართულ სკოლის შეგირდებს აძლიოს წამლები რეცეპტით 35%-ს დაკლებით.

ბახვა მოსეს ძე გაბუნიამ შემოსწირა ორმოცი ქცევა მიწა სოფელ ნააში, ხოლო არჩილ (საჩინო) ივანეს ძე იოსელიანმა ერთის წლით დაუთმო სკოლის სამი ოთახი, ღირებული წლიურად 500 მანეთად.

ულრმეს მადლობას ვსწირავ რა ზემოხსენებულ პირთ, სასიამოვნო მოვალეობათ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ სოხუმის ქართველი საზოგადოება დიდს თანაგრძნობას იჩენს აქ ახლად დაარსებულ ქართულ სკოლისადმი: ჯერი ჩვენზეა, თუ რამდენად გავუმართლებთ მათ იმედსა...

სოხუმის ქართულ სკოლის მასწავლებელი. ნიკო ჯანაშია.

—

1910 წელს ოქტომბერში ორენბურგის გუბერნიიდან, სადაც გადასახლებული ვიყავი, ხელ-მეორედ გადამასახლეს 2 წლის ვადით პერმის გუბ.—ში. დატუსაღების დროს დამეკარგა საჭირო ადრესიბი. ვინაიდან მათი კერძოთ შოვნა დღემდე ვერ მოვახერხე, საჭიროდა ვცნობ გაზეთის საშუალებით ვაცნობო ჩემს ნაცნობებს და აგრეთვე იმ წიგნის გამომცემლებს, რომლებისგანაც წინასწარ ხელის-მოწერით დაკვეთილი მაქვს წიგნები (გადილია, სოფრაბანი, კულტურა და სხვა) რომ მე ჩელიაშინში აღარ ვიმყოფები და ვთხოვ, როგორც წერილები ისე სხვა კორესპონდენციები, მომაწოდონ შემდეგის ადრესით: Г. Чердынь, (Пермс. губ.) Сыпучинская волость полит. сил. Валеріану Лежава.

პატივისცემით ვალიკო ლეჟავა.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით შეძლება მოგვცეთ მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც დახმარება გაგვიწიეს „საშობაო ხის“ გამართვაში ზუგდიდის საქალებო საეპარქიო სკოლის მოწაფეთათვის. აქვე მოგვყავს სია შემომწირველთა:

ქ-ნ ე. შატილოვისამ—1 მ. 50 კ, მაზ. უმფრ. ე. ლავროვმა 3 მ., ექ. ი. მუჯირმა 2 მ., კნ. მ. თუმანოვმა 3 მ., კნ. ს. დგებუაძემ 2 მ., ს. კომეტიანმა, ს. მალაქელიძემ, ქ-ნ ეგოროვისამ და ქ-ნ ს. ოსიპოვისამ თითო მანეთი. გ. კვარაცხელიამ, ს. თურმანიშვილმა, კნ. მ. ფალავამ, გ. ოქროპირიძემ, ვ. მიქელაძემ, დ. შენგელიამ, კ. გაბუნიამ და მეუნარგიამ ათ-ათი შაური. თ. კეიდიამ 30 კ., ბ. დგებუაძემ 60 კ.

ზოგიერთმა ვაჭრებმა შემოსწირეს სხვა და სხვა საჭირო ნივთები.

აგრეთვე ულრმესმადლობას ვუცხადებთ ქ-ნ ს. ოსიპოვას და სტუდ. ს. კეშელავას, რომელთაც ენერგიული დახმარება აღმოგვიჩინეს „საშობაო ხის“ მოწყობაში.

ზუგდიდის საეპარქიო სკოლის კორპორაციის მონდობილებით კ. ფხაკაძე.

## განცხადებანი

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან გაიხსნა მუხრანსკის ახალი კერძო
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეთრგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილთხანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—31)

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღნინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგან· და საბავშვო.
ბ. გ. აგაბაროვი: $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
საღამოთი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—$6^{1}/_{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
11—12 სათ. 606 წამლობა
კონსულტატიურად
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიან.

ზაქარია გრიჭუროვის წიგნის მაღაზიის გამოცემანი (ეხლა სოფია გრიჭუროვასი).
გიორგი იოსელიანისა:
1. „საღმრთო ისტორია“ ძველი და ახალი აღთქმისა სურათებით 40 კ.
2. „ლოცვანი“ ქართულად და რუსულად. . . . 20 „
3. „რჩეული კუდი მელა“ სურათებით . . . . 50 „
არისტო ქუთათელაძისა:
4. „ქართული გრამატიკა“. 40 „
5. „წყარო“, ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი . 25 „
6. „წყარო“, წიგნი მეორე . 50 „
7. „საზოგადო გეოგრაფია“ ნაწილი პირველი, სურათებით 30 „
ანტონ ნატროშვილისა:
8. „სახელმძღვანელო სამღრთო სჯულისა“ ნაწ. პირველი 15 „
9. იგივე ნაწილი მეორე . 25 „
10. „ათას ერთი ღამე“ სურათებით, თარგ. ჯანაშვილისა. 40 „
11. ГОГЕБАШВИЛИ: „Р. слово 1 ч. 40 „
12. „კუნწულა“ მისივე . 40 „
13. საქართველოს რუკა, მისივე 60 „
14. ХРАМЕЛАШВИЛИ: «Краткій учебникъ географіи Кавказа 50 „
15. КИКНАДЗЕ: Учебникъ географіи Кавказскаго края . . 30 „
ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 20 პროცენტი. იმავე პირობით იყიდება იაკობ გოგებაშვილის ყველა წიგნები. აგრეთვე ყოველი ქართული, სომხური და რუსული წიგნები.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ:
Въ г. Тифлисъ, „Кавказская книжная торговля“ Софьѣ Ивановнѣ Грикуровой. (2—452—2)

გრაფოლოგი-ხიროსოფი
გამოიცნობს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. ყოველ სულიერ განცდასა და ჩვეულებას. ყველა კითხვაზე პასუხს იძლევა. პირისპირ ნახვითა და შეთვლით. მიხეილის პრ. N 97, სახლი 8 იღებს დილის 9 ს. საღამოს 8 საათამდე. (10—1035—10)

ქალის პერანგი
95 კაპეიკად

თეთრის, თხელ და მკვიდრ ტილოსი, დაფანჯრულ არშიებით ნაკერი. უმშვენიერესი და სულ უკანასკნელის ფასონისა. რადგანაც დიდი საქარხნო საწყობი შევიძინეთ, ასე იაფადა ვყიდით. უკეთესის ხარისხისა—1 მ. 25 კაპ., საუკეთესო—1 მ. 50 კ. თითო ცალი, 3 ცალზე ნაკლებს არა ვგზავნით. ქალთა შემდეგები, უმაღლესის ღირსებისა, მადეპალომისა დაფანჯრულ ქსოვილით შემკული, უკანასკნელი ფასონისა სამი წყვილი—2 მ. 85 კ. უკეთესის ხარისხისა—3 მ. 75 კ. საუკეთესო—4 მან. 50 კ.
ამავე ფასად ვგზავნით კაცის 3 შემდეგს და 3 პერანგს.
ვგზავნით ფასდადებით, უბეოდ. გასაგზავნი 75 კ. ემატება, ციმბირში—წონის განსხვავების მიხედვით. ვინც 6 ცალს დაიბარებს, გასაგზავნს ხარჯს არ იხდის. მისამართი О-во Меркурій, Лодзь, М. 59. დაწუნებულს უკან ვიღებთ და ფულს ვაბრუნებთ. წერილები რუსულად უნდა იწერებოდეს. Метцль. 16186. (3—1077—1)

ზაქარია ჟდანოვისა და ამხ.
საბანკო სახლი
ს-პეტერბურგი, ნევის პროსპ. 45.
ყოველგვარი საბანკო საქმე
შეტანილ თანხაზე ვადაზე იძლევა წელიწადზე ზემოდ—$6^{3}/_{4}$ სარგებელს, 12 თვით —$6^{1}/_{2}$, 6 თვით—6, მიმდინარე ანგარიშით—5 სარგებელს.
განსაკუთრებული შეღავათი
ვადით შეტანილ ფულის სარგებელს წინდაწინვე იძლევიან.
3 თვისას—წელიწადზე მეტის ვადისაზე
2 — 12 თვისაზე
1 — 6 თვისაზე
ყველა ოპერაციათა პროსპექტები უფასოდ. პასუხი პირველის ფოსტით იგზავნება. Метцль 20749. (2—1033—2)

სპეციალური
სამკურნალო
კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.
ველიკოკნიაჟის ქ. N 9, გარანტოვის ძეგლის მახლობლად.
ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები გ. ა. გედალინი და ი. მ. ზაბლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. ნახ.—8 ნან. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეზვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მეუმათა შემოწმება.
შესვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
ერლიხ-ხატას პრეპარატით 06 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—30)

ტფილ. გუბერ. თავად.-აზნ. წინამძღოლი
1895 წ. 25 მაისს, უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს მოსაზრების თანახმად, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დამაარსებელთა მიერ ბანკის დასაარსებლად შეტანილ თანხის დაბრუნებაზე,—ფინანსთა მინისტრის მიერ 1900 წ. 8 მაისს დამტკიცებულ წესების მე-7 მუხ. თანახმად,—ამით აცხადებს, რომ ის პირი, რომელსაც გარდასაცემ კვიტანციაზე წარწერის მიხედვით, ჩაჰბარდა კონსტანტინე ლუარსაბის ძის ფურცელაძის კვიტანცია სამას სამოც-და-ათ მანეთისა (370 მ.) ბანკის დასაარსებლად—ვალდებულია იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ამ ფულის მიღების უფლებას გარდასაცემ წარწერიან კვიტანციით, და ეს ფული ფურცელაძის მემკვიდრეთა სასარგებლოდ გადავა. (3—1016—2)

ყველას მოეხსენება,

რომ შვეიცარია ყოველგვარ საათების უმთავრესი წყარო მთელის ქვეყნიერებისათვის, ამისათვის ყველა მსურველთ ვურჩევთ, საათები პირდაპირ შვეიცარიიდან დაიბარონ და მხოლოდ ჩვენგან. ეს უბის საათები მეტად ლამაზია, ლურჯის ფოლადისა, ფანტაზ-ფასონისა, მეტად თხელი (სისქე ვერცხ. მანეთიანს არ აღემატება), ოქროს წყალში ან ვერცხლით ფანტ. ნაფერი ციფერბლატით, რემონტუარი, 40 საათში ერთხელ მოსამართი, ქვისა ლამაზ. გარეგან. ანკერის ისრით (იხ. სურათი), განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული, რომ საათი სწორედ დადიოდეს, ზედმიწევნით ნაცადი და წუთი-წუთზე შემოწმებული, ისეთი მკვიდრია რომ ქარხანა 5 წლის გარანტიას იძლევა. საათთან ერთად ეგზავნებათ პოსტამენტი „მოდერნი“ თლილის მარმარილოსი 2 ბრინჯაოს სვეტით ბერძნულ ვემოვნებაზე გაკეთებული (იხილე სურათი), რაზედაც მეცადინეობის დროს უბის საათის ჩამოკიდვა შეგიძლიანთ, რაც საწერ მაგიდას თუ საპირფარეშო მაგიდასაც დაამშვენებს. საათი პოსტამენტიანად მხოლოდ 4 მ. 25 კ. ორი—8 მანეთი. ვგზავნით ფას-დადებით, უბეოდ. გადასაგზავნი ფასი ბაჟის ზედ-მითვლით მხოლოდ 40 კ., ციმბირში—75კ. მისამართი, რომელიც შეგიძლიანთ ამოსჭრათ და ღია ბარათზე თუ დახურულ წერილის კონვერტზე დააკრათ:
| | |
|---|---|
| РОБЕРТЪ КОЛЛІО, Шодефонъ 6. (Швейцарія). | ROBERT COLLIOT, Chaux-de-Fonds (SUISSE) rue du Temple Allemand № 17. |
შვეიცარიაში გასაგზავნ ღია წერილს 4 კაპეიკიანი მარკა უნდა დააკრათ, დახურულს—10 კ., დაკვეთა რუსულს ენაზედაც შეიძლება.
Метцль. 10441. 3—1047—2

24 საათის მაგიერ — 192 საათი!

საათები, რომელნიც ყოველ 8 დღეში ერთად უნდა დაქოქილიყვნენ, ღირდა წინად 15 მანეთი და ყველასათვის ხელ-მისაწვდენი არ იყო ეს ფასი, ეხლა იგივე საათები მხოლოდ 5 მანეთი ფასობს. ერთმა მთელ ევროპაში მეტად ცნობილმა საათების ფაბრიკამ მოიწადინა ყველასათვის ხელმისაწვდენი ყოფილიყო ასეთი საათები და მიაღწია კიდევ მიზანს, რადგან საათების დამზადების მუშაობა მეტად გაუმჯობესებულია დღეს. ამიტომაც არის, რომ ეს საათები ასე გაიაფდა. საათი შავი თუჯისაა, დაქოქვა ყოველ 192 საათში ერთხელ, ქვებით. გარეგნულად მეტად მშვენიერი შესახედია. მექანიზმი ანკერისა, მომართვა კურწიდან, უგასაღებოდ. ფასი მხოლოდ 5 მანეთი, 2 საათი 9 მანეთი 50 კ.; ასეთივე ვერცხლისა 84 პროცენტ. 8 დღეში ერთხელ მოსამართი 9 მან. 50 კ., 2 საათი 18 მანეთი 50 კ. გაგზავნა 4 ცალისა 40 კ., ციმბირში 75 კ. იგზავნება ფასდადებითაც და ბეს წარმოუდგენელადაც. ექვსი წლის განმავლობაში პასუხისმგებლობით—თუ საათი არ მოეწონებათ, უკან ვიღებთ, ფულს ვუბრუნებთ. მშვენიერი მოდის ძეწკვები ამერიკის ოქროს ბრელოკით, თითო 75 კ. და 1 მ. 50 კ. 2 ზომიანი 2 მ. 50 კ. და 3 მ. 50 კ.
Адресъ: Экспортн. домъ И. Штрумфельдъ, Варшава, Св. Креста, N 48. отд. 12.
გთხოვთ ადრესი ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.
Метцль и К-о. N 34228. 3—1080—1

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
მაღაზიას
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარალანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 2 მან.—2 მან. 40 კ.
და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.
მიიღეთ ახალი ნავაგა
აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—104)
საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა